საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

2019 წლის 19 მაისის არჩევნების სადამკვირვებლო მისია

წინასაარჩევნო გარემოს, არჩევნების დღისა და შემდგომი პერიოდის მონიტორინგის ანგარიში

(20 მარტი – 17 ივნისი, 2019 წელი)

19 მაისის არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელება შესაძლებელი გახდა „ღია საზოგადოების ფონდის“ დაფინანსებით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ და მისი შინაარსი, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

ავტორები: ლელა ტალიური
რატი თინიკაშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

კვლევის ხელმძღვანელი პირები: ვახუშტი მენაბდე
სულხან სალაძე

საია მადლობას უხდის თანამშრომლებსა და დამკვირვებლებს საიას არჩევნების მონიტორინგის მისიის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის.

აიწყო და დაკაბადონდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

რა ხდება არჩევნების მეორე დღეს 4

1. შესავალი 6

2. წინასაარჩევნო პერიოდი 8

2.1. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევა 8

2.2. ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები 8

2.3. საბიუჯეტო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის 10

2.4. ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის ფაქტები 11

3. ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა 12

4. კენჭისყრის დღე და შემდგომი პერიოდი 13

4.1. კენჭისყრის დღის ინციდენტები 13

4.2. კენჭისყრის შემდგომი პერიოდი 15

4.3. მეორე ტური 17

5. რეკომენდაციები 18

რა ხდება არჩევნების მეორე დღეს

წლევანდელი შუალედური და რიგგარეშე არჩევნები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გენერალურ რეპეტიციად განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რა გვაჩვენა ამ რეპეტიციამ პარტიული რეიტინგების თვალსაზრისით, ან რამდენად შეძლეს პოლიტიკურმა ჯგუფებმა სასურველი შედეგების მიღება, ერთი რამ ნათელია, მათ, ამ ჯერზე, ის სტრატეგიები მოსინჯეს, რომელთა გამოყენებასაც მომავალში საპარლამენტო მანდატების მოსაპოვებლად შეეცდებიან. სწორედ ამიტომ, დამკვირვებლისთვის პროცესები, რომლებიც წინასაარჩევნო და კენჭისყრის დღეს განვითარდა, ტენდენციის მაჩვენებელია. პარტიები გააანალიზებენ საკუთარ მოქმედებებს, შეისწავლიან, რამ იმუშავა უკეთ და მორიგ არჩევნებზე გაზრდიან მათ ეფექტს. ეს ნიშნავს, რომ ყველა მანიპულაცია, რომელიც პოლიტიკურმა გაერთიანებებმა გამოიყენეს, 2020-ში დაგვიბრუნდება, შესაძლოა, გაძლიერებული ფორმით.

ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ გრძელდება ტენდენცია, როდესაც მთავარი მოვლენები არა უბნის შიგნით, არამედ კენჭისყრამდე და საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება. ეს უმთავრესად გულისხმობს უბნებთან ბაზირებულ მოთვალთვალეებს **(ნების გამოხატვის კონტროლი)**, რომლებიც საკუთარი მხარდამჭერების კენჭისყრის ადგილზე გამოცხადებას აღნუსხავენ, ან კიდევ – **საარჩევნო დღის აგიტაციას,** როდესაც აქტივისტები შენობის შესასვლელთანაც ცდილობენ ამომრჩევლის დარწმუნებას. ამგვარი გადამეტებული ყურადღება ემსახურება ამოცანას, რომ არჩევნებზე მისულ ადამიანს კაბინაშიც კი არ დარჩეს მარტო ყოფნის განცდა.

კიდევ ერთი სტრატეგია, რომელსაც პარტიები მიმართავენ, **კენჭისყრის დღეს პოლიტიკური ტემპერატურის აწევაა.** ასეთ დროს საზოგადოების ყურადღება მორიგეობით რამდენიმე წერტილში ფოკუსირდება. ის იკავებს საინფორმაციო სივრცეს და პროცესში ჩართულ ყველა აქტორს იძულებულს ხდის, საკუთარი რესურსები მისკენ მიმართოს. მთელი პოლიტიკური თეატრი ამ რამდენიმე წერტილში კონცენტრირდება და შემდეგ, პოლიტიკოსთა ჰეროიკული განცხადებებით, მთელ საარჩევნო ველზე განივრცობა. მოქალაქეები თავიანთ არჩევანს საგანგებო ვითარებაში, თითქოს სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის აკეთებენ. ამომრჩევლის შანტაჟი, რომელსაც ოპოზიცია და ხელისუფლება მიმართავს – როცა ერთი სიტუაციას ძაბავს, ხოლო მეორე ამას რევოლუციურ საფრთხედ წარმოსახავს – ერთი მედლის ორი მხარეა. მისი მიზანია, ამგვარ დაძაბულობაში აღარ დარჩეს ადგილი მრავალშრიანი, განვითარების ხედვებზე დაფუძნებული არჩევანისთვის.

მოვლენების ამგვარი განვითარება ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პერიოდში, კამპანიების ფორმირებისა და იმპლემენტაციის ეტაპზე მზადდება და პიკს კენჭისყრის დღეს აღწევს. თუმცა, თუ ცაიტნოტში ჩაყენების სტრატეგია კამპანიიდან კენჭისყრის დღემდე აღმავალი დინამიკით ხასიათდება, მეორე, ასევე ემოციაზე გათვლილი სტრატეგია, ძირითად აქცენტს სტაბილურობასა და განგრძობადობაზე აკეთებს, არჩევნებამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში კი წყდება. ეს **ამომრჩევლის ირიბი მოსყიდვის მეთოდებია.** მათი ავტორები ამ მეთოდების უკან მდგარ სურვილებს ზოგჯერ პირდაპირ (რომ ხმის ყიდვა-გაყიდვა უნდა დაექვემდებაროს ბაზრის ლოგიკას) ამბობენ, ზოგჯერ კი, ამ სათქმელს არაპირდაპირ მათივე ევფემიზმები (რომ ქველმოქმედებას არავითარი კავშირი არ აქვს ქველმოქმედთა პოლიტიკურ სტრატეგიებთან) ამჟღავნებენ.

ქველმოქმედების იდეა თავისთავად გამორიცხავს საქველმოქმედო აქტის კონვერტირების შესაძლებლობას პოლიტიკურ სარგებელში. ამგვარი გამიჯვნა ემსახურება როგორც პოლიტიკის, ისე ქველმოქმედების სოციალური ფუნქციის შენარჩუნებას. აღრევა ქველმოქმედებას – ანგარებად, ხოლო პოლიტიკას – ფინანსურ გარიგებად აქცევდა. სწორედ ამიტომ, პოლიტიკოსებს ეკრძალებათ ქველმოქმედება, მეცენატებმა კი, თუ ინსტიტუციონალიზებულ პოლიტიკაში ჩართვას გადაწყვეტენ, ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ საკუთარ ფინანსებს მარტივად ვეღარ განკარგავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხე შეექმნებოდა პოლიტიკური საზოგადოების ლოგი-

კურ სტრუქტურას, რომელიც პოლიტიკაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას ეფუძნება, მიუხედავად ფინანსური რესურსებისა.

საარჩევნო პროცესის ბაზრის ლოგიკისთვის დაქვემდებარების მიზანი პოლიტიკური იდეების იმგვარი კონკურენციის პირობებში ჩაყენებაა, სადაც თავისთავად არა იდეა, არამედ იდეის მედიუმის ეკონომიკური რესურსები იძენს მნიშვნელობას. ეს საფრთხეს უქმნის როგორც პოლიტიკურ თავისუფლებას, ისე თანასწორობას. საარჩევნო ხმის მონეტიზაცია უკვე გულისხმობს პოლიტიკური იდეების დაუბრკოლებლად გავრცელების, მოძრაობის (როგორც გამოხატვის, ისე მხარდაჭერის) ლიმიტს და ქმნის პოლიტიკური კვაზიმხარდაჭერის ბუშტს. იდეების თავისუფლება ფინანსებით ხდება დასაზღვრული, ხოლო თანასწორობა იმ მომენტში ქრება, როდესაც პარტიულ არხებში ფული თავისუფლად იწყებს დინებას. ეს ლიმიტი უკომპრომისოდ წარმოდგება, როდესაც ირკვევა, რომ სინამდვილეში პოლიტიკური პლატფორმისგან არაფერი დარჩა, გარდა საარჩევნო ნომრის და მის უკან მდგარი რესურსებისა.

ამომრჩევლის მოსყიდვა ელექტორალური არჩევანის განმაპირობებელ ფაქტორებს უნაცვლებს ადგილს და ის პოლიტიკური განსჯიდან ამომრჩევლის ემოციურ ღერძზე გადააქვს. მთავარი ხდება არა პოლიტიკური ხედვა, პოლიტიკოსი, რომელიც მომავლის გეგმების შესახებ ესაუბრება ამომრჩეველს, არამედ ფსევდოსიკეთის აქტი, რომელიც ამავე პოლიტიკოსის შესახებ საუბრობს, წარსულში მის პოლიტიკურ წარმოდგენებზე ყოველგვარი დაეჭვების გარეშე.

როგორც წესი, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ხერხს ერთი პარტია სრულად არ ამოწურავს, თუმცა, ეს ტაქტიკური ჰომოგენურობა სიტუაციურია. ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ჯგუფებს ამ მეთოდების უმეტესობა საკუთარ არსენალში მოეპოვება და, მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე ან დასმული ამოცანების შესაბამისად, მათი ამოქმედება ნებისმიერ დროს შეუძლია.

ზემოთ აღწერილი პოზიტიური და ნეგატიური ტაქტიკები ამომრჩევლის მანიპულირებისკენ არის მიმართული. ისინი სხვადასხვა მეთოდით ცდილობენ, მოქალაქეებმა არჩევანი არა რაციონალურად, არამედ ემოციურ ფონზე გააკეთონ. ამისთვის სუბიექტები ძალისხმევას არ იშურებენ, ქმნიან თვალთვალის განცდას, ცდილობენ, კაბინაში შესვლამდე ელექტორალურ სუბიექტთან უკანასკნელი კონტაქტი დაამყარონ ან განგაშის ვითარება შექმნან. ყველა ეს ქმედება მიმართულია მოკლევადიან ეფექტზე, გათვლაზე, რომლის გადავლის შემდეგ ამომრჩეველს ხელში სიცარიელე შერჩება. ამგვარ პირობებში კენჭისყრის დღეს გაკეთებული არჩევანი ძნელად დაემთხვევა ამომრჩეველთა მომდევნო დღის განწყობებს. ამომრჩევლის განწყობისა და არჩევნების შედეგების აცდენა კი, წარმომადგენლობით დემოკრატიას მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს. პარტიებმა, რომლებმაც იციან, რომ მათი მხარდაჭერა ცუდად თავმოკრულ ტრავმებზე აგებულ მხარდაჭერის ბუშტს ემყარება და არა – პოლიტიკურ პროგრამას, შეეცდებიან ეს ბუშტი მუდმივად კვებონ ახალი ემოციებით. ეს ძირს უთხრის ხედვაზე დაფუძნებული პოლიტიკის ყოველგვარ პერსპექტივას, მას ფინანსურ და კულტურულ ჰეგემონებს შორის უშინაარსო ბრძოლად აქცევს, სადაც ამომრჩევლისთვის ადგილი არ მოიპოვება.

ვახუშტი მენაბდე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი საჯარო სამართლის მიმართულებით

1. შესავალი

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 20 მარტს მთაწმინდის №1 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები,[1] ხოლო 30 მარტს მარნეულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე,[2] ასევე, საგარეჯოს, ახმეტის, ადიგენის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები დანიშნა.[3]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის 19 მაისის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი 20 მარტს დაიწყო. საია წინასაარჩევნო პროცესებს 10-მდე გრძელვადიანი დამკვირვებლით, ცენტრალური და რეგიონული ოფისების მეშვეობით აკვირდებოდა. თბილისში, აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლსა და კახეთში. სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მონიტორინგის ობიექტებს წარმოადგენდნენ: საარჩევნო ადმინისტრაცია, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, საარჩევნო სუბიექტები და მათი მხარდამჭერები, საჯარო მოხელეები.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ 2 ბიულეტენი გამოსცა: №1 ბიულეტენი, რომელიც 20 მარტიდან 28 აპრილამდე პერიოდს მოიცავდა, 8 მაისს გამოქვეყნდა; №2 ბიულეტენი, რომელიც 28 აპრილიდან 15 მაისამდე პერიოდს მოიცავდა, 16 მაისს გამოქვეყნდა.

საია 2019 წლის 19 მაისის არჩევნების კენჭისყრის დღეს 50 დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდა. სტატიკური დამკვირვებლები განთავსდნენ საქართველოს მასშტაბით 22 საარჩევნო უბანში. სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში შედიოდა 17 მობილური ჯგუფი და 7 ოლქის დამკვირვებელი (6 საარჩევნო ოლქში). მეორე ტური მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში გაიმართა, რომელსაც ორგანიზაცია 10-მდე დამკვირვებლის მეშვეობით დააკვირდა. დაკვირვების პროცესში ჩართული იყო 3 მობილური ჯგუფი და 1 ოლქის დამკვირვებელი. საიამ ყურადღება გაამახვილა როგორც საარჩევნო პროცედურების დაცვაზე (საარჩევნო უბნის გახსნის, ხმის მიცემისა და შეჯამების პროცესი), აგრეთვე, მონიტორინგი გაუწია საუბნო საარჩევნო კომისიების მიმდებარე ტერიტორიებზე განვითარებულ მოვლენებს. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, ორგანიზაციამ სტრატეგიული სამართალწარმოების მექანიზმი გამოიყენა.

არჩევნების დღეს საიაში მუშაობდა სპეციალური ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეეძლოთ სამართლებრივი კონსულტაციების მიღება კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით.

საიაში ასევე მუშაობდა ცხელი ხაზი ჟურნალისტებისა და მედიაორგანიზაციებისთვის, რომლებსაც შეეძლოთ, მიეღოთ მათთვის საინტერესო ინფორმაცია და იურიდიული კონსულტაცია საარჩევნო პროცედურების, კენჭისყრის დღის დარღვევებისა და მათზე რეაგირების გზების შესახებ.

საიას მიერ, წინასაარჩევნო მონიტორინგის მისიის ფარგლებში, 2019 წლის 20 მარტიდან 18 მაისის ჩათვლით პერიოდში გამოვლინდა:

- ამომრჩევლის მოსყიდვის **3** ფაქტი;
- ამომრჩევლის რეგისტრაციით მანიპულირების და ფარულობის პრინციპის დარღვევის **1** ფაქტი;
- ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის **4** ფაქტი;
- საბიუჯეტო რესურსის საარჩევნო მიზნით გამოყენების **3** ფაქტი;

[1] ცესკოს 2019 წლის 20 მარტის №16/2019 განკარგულება.

[2] ცესკოს 2019 წლის 30 მარტის №27/2019 განკარგულება.

[3] ცესკოს 2019 წლის 30 მარტის №26/2019 განკარგულება.

- ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის **1** ფაქტი;
- წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევის **5** ფაქტი.

პირველი ტურის კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში გამოვლინდა:

- დამკვირვებლის საქმიანობაში ხელშეშლის **1** ფაქტი;
- ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევის **1** ფაქტი;
- წილისყრის პროცედურების დარღვევის **3** ფაქტი;
- კენჭისყრის პროცედურის დარღვევის **3** ფაქტი;
- განმეორებით ხმის მიცემის **2** ფაქტი;
- არაუფლებამოსილი პირის უბანზე ყოფნის **1** ფაქტი;
- შემაჯამებელ ოქმებში არსებული უზუსტობების **6** ფაქტი.

მეორე ტურის კენჭისყრის დღეს და შემდგომ პერიოდში გამოვლინდა:

- ფიზიკური დაპირისპირების **1** ფაქტი;
- სიტყვიერი კონფლიქტის **2** ფაქტი;
- მუქარის **1** ფაქტი;
- წილისყრის პროცედურების დარღვევის **1** ფაქტი.

საიამ პოზიტიურად შეაფასა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 2019 წლის 8 მაისს შუალედური არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად სპეციალური ბრძანების გამოცემა,[4] ასევე, შსს-სა და ცესკოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.[5]

საიას შეფასებით, 2019 წლის 19 მაისის შუალედური და რიგგარეშე არჩევნების კენჭისყრის დღემ არსებითი დარღვევების გარეშე ჩაიარა. თუმცა, გამოიკვეთა ამომრჩევლის ნების გამოხატვის კონტროლისა და ზოგიერთ უბანზე დაძაბული გარემოს შექმნის ნეგატიური ტენდენცია. იშვიათ შემთხვევაში ეს ფიზიკურ დაპირისპირებასა და ძალადობაშიც გადაიზარდა.

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია ის ფაქტები, რომლებსაც საარჩევნო გარემოზე გარკვეული გავლენის მოხდენა შეუძლია და რომლებზეც არსებული მონაცემები ამ დროისთვის უკვე იძლეოდა შეფასების საშუალებას. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულ სხვა ფაქტებს საია დამატებით სწავლობს.

[4] შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 8 მაისის #1/213 ბრძანება, 2019 წლის 19 მაისის შუალედური და რიგგარეშე არჩევნების თავისუფალ, უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/5cd58243d473c.pdf, განახლებულია 14.05.2019.

[5] მემორანდუმი შსს-სა და ცესკოს შორის 2019 წლის 19 მაისის შუალედური და რიგგარეშე არჩევნების უსაფრთხო და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის შესახებ. ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/res/docs/mia111.pdf, განახლებულია: 14.05.2019.

2. წინასაარჩევნო პერიოდი

2.1. წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევა

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ დააფიქსირა კონკრეტული კანდიდატებისთვის განკუთვნილი უფასო პოლიტიკური რეკლამის სხვა საარჩევნო სუბიექტების სასარგებლოდ სატელევიზიო მაუწყებლებში განთავსების **5** განგრძობადი შემთხვევა. აღნიშნული ფაქტები წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევას წარმოადგენს, ვინაიდან, საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, აკრძალულია შემოწირულებების მიღება არასამეწარმეო იურიდიული პირისგან,[6] ხოლო პარტია არასამეწარმეო იურიდიული პირია.[7]

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გაერთიანებული ოპოზიციის" მიერ წარდგენილი ზუგდიდის მერობის კანდიდატის – **სანდრა ელისაბედ რულოვსის** მხარდაჭერას ემსახურებოდა:

- **„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის"** მიერ წარდგენილი ზუგდიდის მერობის კანდიდატის – **მამუკა გერმანიშვილის** უფასო პოლიტიკური რეკლამა;
- **„პოლიტიკური პლატფორმა – ახალი საქართველოს"** მიერ წარდგენილი ზუგდიდის მერობის კანდიდატის – **ალექსი ნონიაძის** უფასო პოლიტიკური რეკლამა;
- **„ქრისტიან-კონსერვატორების"** მიერ წარდგენილი ზუგდიდის მერობის კანდიდატის – **ნანი ხუციძის**[8] უფასო პოლიტიკური რეკლამა;
- **„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ედპ)"** მიერ წარდგენილი ზუგდიდის მერობის კანდიდატის – **გიორგი ჩიაშვილის** უფასო პოლიტიკური რეკლამა.

„ევროპული საქართველო – თავისუფალი დემოკრატების" მიერ წარდგენილი მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – **შალვა შავგულიძის** მხარდაჭერას ემსახურებოდა **„მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის"** მიერ წარდგენილი მთაწმინდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – **გიორგი შალიკაშვილის** უფასო პოლიტიკური რეკლამა.

მსგავსი ფაქტები 2018 წელს საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც დაფიქსირდა, რაც საიამ კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევად შეაფასა.[9]

ამგვარი ფაქტების პრევენციისთვის, აუცილებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დროულად და სრულყოფილად შეისწავლოს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების სავარაუდო დარღვევის ფაქტები და მოახდინოს შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

2.2. ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები

კანონმდებლობის მიხედვით, ამომრჩევლის მოსყიდვა იწვევს საარჩევნო სუბიექტის რეგისტრაციის შეწყვეტას,[10] ადმინისტრაციულ[11] და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.[12] ეს და-

---

[6] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[7] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლი.

[8] პოლიტიკურ რეკლამაში მითითებულია ხუციშვილი, ხოლო ცესკოს ვებგვერდზე – ხუციძე. ხელმისაწვდომია: http://cesko.ge/res/docs/extraordinarymayors.pdf, განახლებულია: 13.05.2019.

[9] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საინფორმაციო ბიულეტენი №4, 2018 წლის ოქტომბერი, გვ. 16, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/files/banners/Elections%20Newsletter%20No.4.pdf, განახლებულია: 13.05.2019.

[10] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[11] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34^2-ე მუხლის მე-6 პუნქტი: „საარჩევნო მიზნით ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უკანონო საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღება, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულება არ აღემატება 100 ლარს, გამოიწვევს პარტიის, პარტიის წარმომადგენლის, იურიდიული პირის დაჯარიმებას შესაბამისი ქონების (მომსახურების) ან შესაბამისი გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით".

[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლით, თუ თანხის ოდენობა (გარიგების ღირებულება) აღემატება 100

მოკიდებულია კანონდარღვევის სიმძიმესა და ბუნებაზე.

წინასაარჩევნო პერიოდში საიამ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის **3 ფაქტი** დააფიქსირა: **2 შემთხვევაში** – „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და **1 შემთხვევაში** – „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩის“ მიერ.

- 2019 წლის 11 აპრილს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქს – ილია მეორეს შეხვდა.[13] საპატრიარქოს ცნობით, 11 აპრილს გამართულ შეხვედრაზე ივანიშვილი ილია მეორეს დაჰპირდა, რომ ფონდი „ქართუ“ სამების ტაძრის მოხატვას სრულად დააფინანსებდა.[14]
- 2019 წლის 29 მარტს ბიძინა ივანიშვილი, რომელიც სოფელ ხიბულაში იმყოფებოდა, ადგილობრივ მოსახლეობას გაზისა და წყლის პრობლემების მოგვარებას დაჰპირდა: „გაზიფიცირებაც და წყლის საკითხიც დავუჩქაროთ. ბიუჯეტს არ ექნება [ფული], მე გავაკეთებ. პირველ რიგში, წყალი გავუკეთოთ სოფელს, გზა…“[15] – მიმართა მან ხალხს.

კანონის თანახმად, პარტიას ეკრძალება როგორც უსასყიდლოდ მომსახურების მიწოდება, აგრეთვე, საქართველოს მოქალაქის დაინტერესება მატერიალური ფასეულობების ან მომსახურების დაპირებით.[16] „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე საარჩევნო პერიოდში ამომრჩეველს უსასყიდლოდ გარკვეული მომსახურების გაწევას დაჰპირდა, რაც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს და შესაბამის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ივანიშვილის მზადყოფნას, სრულად დააფინანსოს სამების მოხატვა, მმართველ გუნდში არჩევნებს არ უკავშირებდნენ და საქველმოქმედო საქმიანობად მიიჩნევდნენ.[17] საქართველოს კანონმდებლობა კი, პოლიტიკურ გაერთიანებასა და მის წარმომადგენელს საქველმოქმედო საქმიანობას უკრძალავს.

- 2019 წლის 22 მარტს მთაწმინდაზე „ახალი პოლიტიკური ცენტრის“ („გირჩი“) მაჟორიტარმა კანდიდატმა – ჰერმან საბომ[18] საკუთარ მხარდამჭერებს მოუწოდა, მთაწმინდაზე ჩაწერილიყვნენ.[19] მან განაცხადა, რომ ბინის მეპატრონეებს კომუნალურ, მაგალითად, წყლის გადასახადს (რომელიც ბინაში ჩაწერილ პირთა სულადობაზეა მიბმული) გადაუხდიდა.[20]

კანონის მიხედვით, იკრძალება ამომრჩევლის დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან მატერიალური ფასეულობის დაპირებით.[21] პოლიტიკური სუბიექტის მოქმედება

ლარს, პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ვადით ან ჯარიმით.

[13] „ქართუ“ სამების მოხატვას სრულად დააფინანსებს” – ივანიშვილი ილია II-ს შეხვდა, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 11.04.2019, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/355777, განახლებულია: 02.05.2019.

[14] იქვე.

[15] „ბიუჯეტს არ ექნება, მე გავაკეთებ” – ივანიშვილის დაპირება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ხიბულაში, საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 29.03.2019, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/352555, განახლებულია: 02.05.2019

[16] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ პუნქტი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164^1-ე მუხლი.

[17] „ივანიშვილის მზადყოფნას, სამების მოხატვა სრულად დააფინანსოს, მმართველ გუნდში არჩევნებს არ უკავშირებენ“, ტელეკომპანია „იმედი“, 11.04.2019, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/saqartvelo/102502/ivanishvilis-mzadkopnas-samebis-mokhatva-srulad-daapinansos-mmartvel-gundshi-archevnebs-ar-ukavshireben, განახლებულია: 12.07.2019.

[18] ჰერმან საბოს ოფიციალური სახელია გერმანე საბო, თუმცა, საია წინამდებარე დოკუმენტში მას იმ სახელით მოიხსენიებს, რომელიც საზოგადოებისთვის არის ცნობილი.

[19] ჰერმან საბო „გირჩის“ მხარდამჭერებს მოუწოდებს, მთაწმინდაზე გადაეწერონ; საინფორმაციო პორტალი „ნეტგაზეთი“, 22.03.2019, ხელმისაწვდომია: http://netgazeti.ge/news/350679, განახლებულია: 02.05.2019.

[20] იქვე.

[21] მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

მიზნად ისახავდა მოქალაქეთა დაინტერესებას, მიეღოთ გარკვეული ფინანსური სარგებელი. ამომრჩევლები ამ სარგებელს რეგისტრაციის ადგილისა და, შესაბამისად, საარჩევნო ოლქის ცვლილების შემდეგ მიიღებდნენ. ისინი ძველ მისამართზე თავად იხდიდნენ ამ გადასახადს, ახლა კი ამას მათ ნაცვლად პარტია გააკეთებდა, რაც ამომრჩევლის მოსყიდვას წარმოადგენს.

იმავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ ოლქიდან ოლქში გადაწერა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა არ არის, რეგისტრაციის მისამართის ორგანიზებული, საარჩევნო მიზნით შეცვლა ამომრჩევლის ხმებით მანიპულირების მაგალითია და ეწინააღმდეგება თანასწორი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების პრინციპს.

- 2019 წლის 17 აპრილს „გირჩის" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ამომრჩეველი სარგებელს იმ პირობით მიიღებდა, თუ საარჩევნო ბიულეტენის ფოტოს წარადგენდა, რომელზეც მათი პოლიტიკური გაერთიანება იქნებოდა შემოხაზული.[22]

საარჩევნო კანონმდებლობით, კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად, ხმის მიცემის კაბინაში ფოტო და ვიდეო გადაღება აკრძალულია.[23] „გირჩის" განცხადება კი, ამომრჩევლებს უბიძგებდა, საკუთარი მხარდაჭერის დასამტკიცებლად, ხმის მიცემის კაბინაში ბიულეტენისთვის ფოტო გადაეღოთ და საკუთარი პოზიცია გაესაჯაროებინათ.

ამგვარი მავნე პრაქტიკისგან საარჩევნო პროცესების გასათავისუფლებლად სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და პროკურატურამ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დროულად და სრულყოფილად უნდა შეისწავლონ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

2.3. საბიუჯეტო რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნებისთვის

წინასაარჩევნო პერიოდში რამდენიმე მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში სოციალური გასაცემლების ოდენობა გაზარდა ან მასში ახალი პროგრამა შეიტანა. ეს ფაქტები საიას მიერ საბიუჯეტო რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებად შეფასდა.

საარჩევნო კანონმდებლობით, არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში. ასევე, ამავე ვადიდან აკრძალულია სოციალური გასაცემლების ოდენობების ზრდა და ახლის დაწესება.[24]

საიამ ამგვარი შემთხვევები 3 მუნიციპალიტეტში დააფიქსირა:

- ადიგენის მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 2 აპრილს ახალი პროგრამა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახების დახმარება" 8 ათასი ლარით დააფინანსა,[25] ხოლო 17 აპრილის ცვლილებით, სოციალური პროგრამები 9800 ლარით გაზარდა.[26]
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 4 აპრილს სოციალური პროგრამების დაფინანსე-

[22] „გირჩი" ამომრჩევლებს ხმის სანაცვლოდ ანაზღაურებას სთავაზობს; ტელეკომპანია „იმედი", 17.04.2019, ხელმისაწვდომია: https://imedinews.ge/ge/saqartvelo/103024/girchi-amomrchevlebs-khmis-sanatsvlod-anazgaurebas-stavazobs, განახლებულია: 02.05.2019.

[23] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

[24] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

[25] ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 აპრილის №11 დადგენილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", მუხლი 17.

[26] ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 17 აპრილის №15 დადგენილება „ადიგენის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", მუხლი 17.

ბა – 20 000 ლარით,[27] ხოლო 12 აპრილის ცვლილებით – 32 100 ლარით გაზარდა.[28]

- ახმეტის მუნიციპალიტეტმა 2019 წლის 16 აპრილს სოციალური პროგრამების დაფინანსება 13,500 ლარით გაზარდა.[29]

ადმინისტრაციული რესურსის არჩევნების შედეგებზე გავლენის მინიმალიზაციისთვის, აუცილებელია, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ბიუჯეტი არჩევნებს არ მოარგონ.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებს ცესკო ნიშნავს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.[30] 10-დღიანი პერიოდის განმავლობაში (კენჭისყრის დღემდე მე-60 დღიდან კენჭისყრის დღემდე 50-ე დღემდე), მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, შესაძლოა, განხორციელდეს ცვლილება, რომელიც წინააღმდეგობაში იქნება საარჩევნო კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ მოთხოვნასთან, თუმცა, ქმედების მართლწინააღმდეგობა გამოვლინდება მხოლოდ მას შემდგომ, რაც არჩევნები დაინიშნება. ამ ხარვეზის გათვალისწინებით, **საიას მიაჩნია, რომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება, რომლითაც დადგინდება, რომ ნებისმიერი ტიპის არჩევნები უნდა დაინიშნოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-60 დღისა.**

2.4. ფიზიკური დაპირისპირებისა და ძალადობის ფაქტები

კენჭისყრის დღის მოახლოებასთან ერთად დაძაბულობამ იმატა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ზუგდიდის ოლქში, სადაც პოლიტიკური ძალების ნაწილი არ ერიდებოდა სავარაუდოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებებს. გამოქვეყნდა ჩანაწერი, სადაც სავარაუდოდ აღბეჭდილი იყო ზუგდიდის საკრებულოს უმრავლესობის წევრი გია დანელია – ეს უკანასკნელი საუბრობდა ინსტრუქციაზე ამომრჩეველზე ზეწოლის სხვადასხვა მექანიზმის გამოყენების შესახებ.[31]

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 4 საქმეზე:[32]

- გამოძიების ვერსიით, 2019 წლის 23 აპრილს მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის მიმდებარე ტერიტორიაზე კომისიის წევრმა – ლაშა ქველაძემ (პ/გ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა კომისიის მეორე წევრს – გიორგი თაბუკაშვილს (პ/გ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“);[33]

---

[27] წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 აპრილის №13 დადგენილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 17.

[28] წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 აპრილის №16 დადგენილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, მუხლი 17.

[29] ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აპრილის №8 დადგენილება ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მუხლი 14.

[30] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 154-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

[31] ამ ფაქტზე სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში გამოძიება დაიწყო. პროკურატურამ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/32E8KBI, განახლებულია 15.05.2019.

[32] შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის - მინდია დავითაძის 2019 წლის 14 მაისის ელექტრონული კორესპონდენცია, „2019 წლის 19 მაისს დაგეგმილი შუალედური და რიგგარეშე არჩევნები.“

[33] „მარნეულში მომხდარ ინციდენტზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო“, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/marneulshi-momkhdar-incidentze-gamodzieba-dzaladobis-mukhlit-daiwyo/, განახლებულია 15.05.2019.

- 2019 წლის 23 აპრილს ზესტაფონში მერობის დამოუკიდებელი კანდიდატის ვახტანგ რობაქიძის მხარდამჭერის გიორგი ქამუშაძის ავტომანქანას ცეცხლი წაუკიდეს.[34] გამოძიების ვერსიით, არ დასტურდებოდა პოლიტიკური მოტივი. დაინიშნა ქიმიური და სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა;
- 2019 წლის 12 მაისს გავრცელებული ინფორმაციით, სოფელ ჯიხაშკარში აგიტაციის დროს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებსა და ერთ-ერთი ოჯახის მაცხოვრებლებს შორის ინციდენტი მოხდა.[35] გამოძიება საცხოვრებელ სახლში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლის ფაქტზე დაიწყო;
- გამოძიების ვერსიით, 2019 წლის 14 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატს სანდრა რულოვსს და მის თანმხლებ პირებს ზუგდიდში, ბოტანიკური ბაღის მიმდებარედ, რამდენიმე პირმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.[36] დაკავებულია გელა კვარაცხელია და გრძელდება ღონისძიებები სხვა პირების იდენტიფიცირების მიზნით.

3. ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

2019 წლის 14 მაისს ტელეკომპანია „ოდიშის" გადაცემა „ლუსტრაციის" ჩაწერისას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ტელეკომპანიის გადამღებ ჯგუფს.[37] შს სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება ძალადობის მუხლით[38] დაიწყო.[39] ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჟურნალისტები საკუთარ პროფესიულ საქმიანობას ახორციელებდნენ, ხოლო თავდასხმის შედეგად მათ ამის საშუალება არ მიეცათ, საია მიიჩნევს, რომ გამოძიება უნდა წარიმართოს სპეციალური მუხლით, რომელიც ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლას გულისხმობს.[40]

2019 წლის 19 მაისს ზუგდიდის ოლქში დააკავეს ჟურნალისტი, ონლაინგამოცემა Presa.ge-ს რედაქტორი გიორგი კაპანაძე.[41] როგორც გავრცელებული კადრებით დასტურდებოდა, არ არსებობდა მისი თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები, ხოლო პოლიციელთა ქმედება სცილდებოდა კანონით მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

საარჩევნო პროცესების გაშქებას დემოკრატიაში განსაკუთრებული ფუნქცია ენიჭება. იმისათვის, რომ მედიის წარმომადგენლებმა მომავალში დაუბრკოლებლად შეძლონ საკუთარი მოვალეობის შესრულება, სამართალდამცავმა ორგანოებმა დროულად და სრულყოფილად უნდა შეისწავლონ ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტები და განახორციელონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

---

[34] „ზესტაფონში მერობის კანდიდატის მხარდამჭერის მანქანა დაიწვა", საინფორმაციო პორტალი „ქუთაისიპოსტი", ხელმისაწვდომია: https://www.kutaisipost.ge/ka/akhali-ambebi/article/14621--manqana-gaumarthavi-iyo-zestafonshi-merobis-kandidatis-mkhardamtceris-manqana-daitsva-video-, განახლებულია 15.05 2019.

[35] „სოფელ ჯიხაშკარში, ჩვენს მხარდამჭერ ოჯახს ოპოზიცია მიუვარდა - „ოცნების" შტაბი", საინფორმაციო პორტალი „ლაივპრესი", ხელმისაწვდომია: https://www.livepress.ge/ka/akhali-ambebi/article/28702-sofel-jikhashkarshi-chvens-mkhardamtcer-ojakhs-opozicia-miuvarda-ocnebis-shtabi.html, განახლებულია 15.05.2019.

[36] „სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ზუგდიდში სანდრა რულოვსის, მისი მხარდამჭერებისა და ტელეკომპანია „ოდიშის" ჟურნალისტების მიმართ", ტელეკომპანია „ოდიში", 14.05.2019, ხელმისაწვდომია: https://odishi.ge/video/drive1/2019-05-14--SANDRA-CHXUBI-NEWS.mp4, განახლებულია 15.05.2019.

[37] „ინციდენტი ზუგდიდში - გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლებს გადაცემის ჩაწერის დროს დაუპირისპირდნენ", ტელეკომპანია „ოდიში", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2vZml1H, განახლებულია: 13.05.2019.

[38] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი.

[39] „კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის ტელეკომპანია „ოდიშის" წარმომადგენლებისთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლის ფაქტს ეხმიანება", კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის ოფიციალური FB-გვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2JkwQLj, განახლებულია: 13.05.2019.

[40] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლი.

[41] „presa.ge-ის რედაქტორ გიორგი კაპანაძის დაკავების კადრები ზუგდიდიდან", ონლაინ გამოცემა netgazeti, წყარო: რუსთავი 2, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2LuZTwH, განახლებულია: 19.05.2019.

4. კენჭისყრის დღე და შემდგომი პერიოდი

4.1. კენჭისყრის დღის ინციდენტები

- ინციდენტი მოხდა ზუგდიდის №9 საარჩევნო უბანზე. საიას დამკვირვებელს ამ უბანზე უფლებები შეუზღუდეს და ის საარჩევნო უბანზე არ შეუშვეს. აღნიშნული ფაქტი საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს,[42] რაც შესაბამის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.[43] აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ წარადგინა საჩივარი ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუმცა, კომისიამ, იმ დასაბუთებით, რომ ფაქტის შესწავლის შედეგად დარღვევა არ დადასტურდა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარი თქვა.[44] ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება ეყრდნობა მხოლოდ კომისიის წევრთა („სავარაუდო სამართალდამრღვევების") ახსნა-განმარტებებს და არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. არ გამოკითხულან სხვა მოწმეები ან უშუალოდ ის დამკვირვებელი, რომლის უფლებაც შეიზღუდა. კანონის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.[45] გადაწყვეტილების მომზადებისას ეს საკითხი გათვალისწინებული არ არის, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მიღებული აქტის სამართლიანობას;
- ზუგდიდის საარჩევნო ოლქში მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა უბანსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ფიქსირდებოდა ინციდენტები პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერებს შორის. საია მიიჩნევს, რომ ამგვარი ფაქტები ამომრჩეველში აჩენდა ხმის მიცემის პროცესიდან დისტანცირების სურვილს და უარყოფით გავლენას ახდენდა ნების თავისუფალ გამოვლენაზე. ამ ფონზე შემაშფოთებელი იყო ნაციონალური მოძრაობის ლიდერის – მიხეილ სააკაშვილის სიტყვები, რომლებიც სიტუაციის გამწვავებას უწყობდა ხელს.[46] სამწუხაროა, რომ ექსპრეზიდენტმა თავის განცხადებაში ასევე დააკნინა სადამკვირვებლო ორგანიზაციების როლი.[47]
- ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოხატვაზე ასევე უარყოფით გავლენას ახდენდა საარჩევნო უბნებთან კოორდინატორებისა და მხარდამჭერების მობილიზება. ისინი ან დისტანციურად აღრიცხავდნენ ხმის მისაცემად მისულ მოქალაქეებს, ან ფოტო-ვიდეო გადაღებით აღბეჭდავდნენ უბანზე მისვლის პროცესს. მსგავსი შემთხვევები ვიდეოკადრებზე ზუგდიდის ოლქში №1 და №4 უბნებზე საიას დამკვირვებლებმაც დააფიქსირეს. მართალია, არცერთი ეს შემთხვევა კანონდარღვევას არ წარმოადგენდა, თუმცა, ამ ქმედებას შეეძლო, დისკომფორტი შეექმნა ამომრჩეველისთვის და მათთვის კონტროლის განცდას გაეჩინა. ამ თვალ-

[42] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

[43] იქვე, 91-ე მუხლის მიხედვით: ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების ამ კანონით დადგენილი უფლებების შეზღუდვა ან მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

[44] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2019 წლის 28 მაისის №52 წერილობითი კორესპონდენცია, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9255, განახლებულია: 18.07.2019.

[45] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[46] „მიხეილ სააკაშვილი - თუ რაიმეზე ხელი წაუცდებათ, არ ვაპირებთ ხელების ჩამოშვებას და დასკვნების იმედად ყოფნას - მეტი საქმე არ მაქვს, ექვსი თვე ვიღაცის დასკვნას ველოდო", საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/547274-mixeil-saakashvili-tu-raimeze-xeli-caucdebat-ar-vapirebt-xelebis-chamoshvebas-da-daskvnebis-imedad-qopnas-meti-sakme-ar-makvs-ekvsi-tve-vigacis-daskvnas-velodo/, განახლებულია: 19.05.2019; „მიხეილ სააკაშვილი მხარდამჭერებს - ჩვენ უნდა ვიყოთ შეტევაზე, შეტევაზე და მხოლოდ შეტევაზე", საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/547269-mixeil-saakashvili-mxardamcherebs-chven-unda-viqot-shetevaze-shetevaze-da-mxolod-shetevaze/, განახლებულია: 19.05.2019.

[47] იქვე.

საზრისით კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის – კახა კალაძის მიერ კოორდინატორების მიმართ გაკეთებული მოწოდებები.[48] ეს უარყოფითი ფაქტები წინა რამდენიმე არჩევნების დროს გამოვლენილი ტენდენციაა და უარყოფითად შეფასდა როგორც ადგილობრივი,[49] ისე საერთაშორისო[50] სადამკვირვებლო მისიების მიერ.

- ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის დარღვევის საფრთხე წარმოიშვა წყალტუბოში ელექტრონული ხმის დათვლის ტესტირების მიმდინარეობისას. საიას დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბიულეტენის სკანერს რამდენჯერმე შეექმნა ტექნიკური პრობლემა. მისი გადაჭრისას საჭირო გახდა შევსებული ბიულეტენის მოწყობილობიდან ამოღება, რა დროსაც შესაძლებელი იყო მოქალაქის მიერ გაკეთებული არჩევანის იდენტიფიცირება. ტექნიკური პრობლემები მთელი დღის განმავლობაში თან ახლდა ელექტრონული ხმის დათვლის პროცესს, რის გამოც, გარკვეული ხნის განმავლობაში, 2 უბანში ხმის მიცემის პროცესი შეჩერდა.
- ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №73 და №75 საარჩევნო უბნებზე დარღვევით ჩატარდა წილისყრის პროცედურები, რასთან დაკავშირებითაც, საიამ საჩივრები წარადგინა. ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიამ საჩივრები არ დააკმაყოფილა. მან მიიჩნია, რომ კანონმდებლობა არ დარღვეულა.[51] კომისიის წევრის მხრიდან წილისყრით განაწილებული ფუნქციების შესრულებაზე უარის თქმა წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას[52] და კომისიის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.
- ზუგდიდის ოლქის №10 და №32 უბნებზე დაირღვა კენჭისყრის პროცედურები. კერძოდ, გადასატანი ყუთის სიაში მყოფმა პირმა ხმა უბანზე მისცა, ასევე, დაფიქსირდა კაბინაში კონვერტის შეტანის ფაქტი. აღნიშნულ დარღვევებთან დაკავშირებით, საიამ საჩივრები წარადგინა, თუმცა, ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიამ დარღვევის ფაქტი არ დაადასტურა.[53] საიას მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელია, ვინაიდან კომისიის წევრის მხრიდან საკუთარი ფუნქციის არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას,[54] მიუხედავად იმისა, დარღვევა მოგვიანებით აღმოიფხვრა თუ – არა.
- ზუგდიდის საარჩევნო ოლქის №108 უბანზე დაფიქსირდა არაუფლებამოსილი პირის ყოფნა. კერძოდ, უბანში „TV-იმედის“ „სტრინგერი“ – Live-რეპორტიორი მოწმობის გარეშე შეუშვეს. მოგვიანებით, ხარვეზი აღმოიფხვრა.[55]

---

[48] „კახა კალაძე - მინდა მივმართო ყველა კოორდინატორს, ვინც სიებით დგას უბნებზე - ნუ შეუშინდებით ჟურნალისტებს, თქვენ ამის უფლება გაქვთ“, საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30IHmjM, განახლებულია: 19.05.2019.

[49] „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღის შეფასება“, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/2018-tslis-saprezidento-archevnebis-meore-turis-kentchisyris-dghis-shefaseba#sthash.yVyBws10.eYGbo74L.dpbs, განახლებულია: 19.05.2019.

[50] დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი, საქართველო, საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საბოლოო ანგარიში, ვარშავა, 2019 წლის 28 თებერვალი, გვ. 58.

[51] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 21 მაისის №33/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9101, https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9102, განახლებულია: 18.07.2019.

[52] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[53] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 21 მაისის №32/2019 და №34/2019 განკარგულებები, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია: https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9110, https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9109, განახლებულია 18.07.2019.

[54] საქართველოს საარჩევნო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[55] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 21 მაისის №35/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9112, განახლებულია 18.07.2019.

- მარნეულის №83 უბანზე ამომრჩეველმა განმეორებით მისცა ხმა. აღნიშნულთან დაკავშირებით, საიამ წარადგინა საჩივარი. მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, მარნეულის №83 უბნის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა შენიშვნა.[56]
- ზუგდიდის №83 უბანზე ამომრჩეველმა, რომელიც გადასატანი ყუთის სიაში იყო შეყვანილი, ხმა მისცა უბანზეც და გადასატანი ყუთის მეშვეობითაც. საიას საჩივრის საფუძველზე, №83 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა შენიშვნა.[57]

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს. პარტიებმა პატივი უნდა სცენ ამომრჩევლის ნების თავისუფლებას. არჩევნების დღეს ამომრჩეველთა მობილიზებას არ უნდა ჰქონდეს ზეწოლის ნიშნები. იმ ადამიანების სია, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, არ უნდა იყოს საჯარო.[58] პარტიებმა თავი უნდა შეიკავონ საარჩევნო უბნების მიმდებარედ კამპანიისგან. საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესის ჩატარების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვანია კენჭისყრის პროცედურების გამარტივება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უბნებზე, მათ შორის, ხმის დათვლა ელექტრონული წესით. აუცილებელია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება. საარჩევნო კომისიის წევრებმა ადმინისტრაციული წარმოება კანონის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განახორციელონ. საჩივარში ასახული დარღვევები დეტალურად უნდა შეისწავლონ, მტკიცებულებები ჯეროვნად გამოიკვლიონ და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა დაასაბუთონ. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე.

4.2. კენჭისყრის შემდგომი პერიოდი

- მთაწმინდის №11 უბანზე ხმების დათვლისას არ შედგა ბალანსი, ხელმოწერების რაოდენობა გაცემულ ბიულეტენებზე 3-ით ნაკლები აღმოჩნდა. აღნიშნულზე მე-3 რეგისტრატორმა დაწერა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ შემთხვევით გადააყოლა სამი ბიულეტენი. საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრატორს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განუსაზღვრა შენიშვნა.[59]
- მარნეულის №77 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემებში არჩევნებზე მოსულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 348-ს, ხოლო შემაჯამებელ ოქმში ეს ციფრი 7-ით მეტი იყო. არ შედგა ბალანსი. აგრეთვე, გადასწორებული იყო რეგისტრატორის ბეჭდის ნომრის მონაცემები. 2019 წლის 20 მაისს შემაჯამებელი ოქმების

[56] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 21 მაისის №40/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9158 განახლებულია 18.07.2019.

[57] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 20 მაისის №30/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9233 განახლებულია 18.07.2019.

[58] Code of Good Practice on Electoral Matters, European Commision for Democracy through Law (Vennice Commission), Strasbourg, October 25, 2018, Opinion #190/2002. Available: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2002)023rev2-cor-e renewed: 26.06.2019.

[59] №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 21 მაისის №15/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9190, განახლებულია 18.07.2019.

შესწავლისას აღნიშნულ შემაჯამებელ ოქმს თან არ ერთვოდა ახსნა-განმარტება, რომელიც ცესკოს საიტზე მოგვიანებით აიტვირთა. საიამ წარადგინა შესაბამისი საჩივარი, თუმცა, მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საიას საჩივარი ამ ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რადგან შედგა შესწორების ოქმი.[60]

- მარნეულის №79 უბნიდან უბნის ბეჭედი ოლქში დაულუქავ მდგომარეობაში მიიტანეს. საიას საჩივრის საფუძველზე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა.[61]
- მარნეულის №9 უბნიდან საარჩევნო ოლქში შემოსული საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებისას აღმოჩნდა, რომ №9 საარჩევნო უბნის კომისიას საერთოდ არ უწარმოებია სარეგისტრაციო ჟურნალი. საიას საჩივრის საფუძველზე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა.[62]
- მარნეულის №25 და №72 საარჩევნო უბნების კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმები გადასწორებული იყო და არ ახლდა შესწორების ოქმები. საიას საჩივრის საფუძველზე, №25 და №72 საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა.[63]
- ზუგდიდის №108 საარჩევნო უბანზე შემაჯამებელ ოქმს კომისიის ორმა წევრმა ხელი არ მოაწერა. საიას საჩივრის საფუძველზე, კომისიის შესაბამის წევრებს დაეკისრათ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა.[64]
- ზუგდიდის №9 უბანზე შემაჯამებელ ოქმში მითითებული მონაცემებით, ბათილი ბიულეტენების რაოდენობა შეადგენდა 70-ს, რაც ეჭვს ბადებდა, რომ კომისიამ ნამდვილი ბიულეტენები ბათილად მიიჩნია. საიამ აღნიშნულ უბანზე ბათილი ბიულეტენების ხელახალი გადათვლა მოითხოვა, თუმცა, საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან კომისიამ ხელახალი გადათვლა მიზანშეუწონლად მიიჩნია.[65]

ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭიროა შემდეგი ნაბიჯების გადადგმა: კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების გაუმჯობესების მიზნით უნდა მოხდეს ოქმების შევსების ერთგვაროვანი წესის შემოღება, რასაც სავალდებულო ხასიათი ექნება. შესწორების ოქმი უნდა დგებოდეს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის გახსნისა და შესწავლის საფუძველზე, კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების მონაწილეობით.

[60] №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 22 მაისის №48/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9290, განახლებულია 18.07.2019.

[61] იქვე.

[62] იქვე.

[63] იქვე.

[64] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 23 მაისის №93/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9287, განახლებულია 18.07.2019.

[65] №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 23 მაისის №94/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9283, განახლებულია 1.07.2019.

4.3. მეორე ტური

საიას შეფასებით, 2019 წლის 19 მაისის შუალედური არჩევნების მეორე ტურმა არსებითი დარღვევების გარეშე ჩაიარა.[66] თუმცა, გამოიკვეთა ამომრჩევლის ნების გამოხატვის კონტროლისა და ზოგიერთ უბანზე დაძაბული გარემოს შექმნის ნეგატიური ტენდენცია. სამწუხაროდ, იყო ფიზიკური დაპირისპირების და მუქარის შემთხვევები.

ამგვარი უარყოფითი ფაქტები პირველი ტურის დროს გამოვლენილი ტენდენციის გაგრძელებაა. ამის გათვალისწინებით, საია უარყოფითად აფასებს პარლამენტის თავმჯდომარის[67] მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებას, რომლითაც ის კოორდინატორების მიერ ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლის პრაქტიკის ნორმალიზებას შეეცადა.

კენჭისყრის პარალელურად, დაძაბული ვითარება იყო რამდენიმე უბანზე და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე. სიტყვიერი კონფლიქტი მოხდა №12[68] და №32[69] საარჩევნო უბნებზე; სავარაუდოდ „ქართული ოცნების“ აქტივისტი ოპოზიციის წარმომადგენლებს ფიზიკურად დაუპირისპირდა №18 უბანზე;[70] №17 უბანზე სავარაუდოდ მმართველი გუნდის მხარდამჭერმა მუქარის შემცველი განცხადებები გააკეთა.[71] ბოლო ორ შემთხვევაზე შსს-მ გამოძიება დაიწყო.[72]

საიას დამკვირვებლებმა მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნების მეორე ტურზე 1 საჩივარი წარადგინეს. საჩივარი უკავშირდებოდა №3 საარჩევნო უბანზე წილისყრის პროცედურების დარღვევას, კერძოდ, წილისყრის პროცედურებში მონაწილეობაზე უარს. მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, საჩივარი დაკმაყოფილდა და კომისიის დამრღვევ წევრს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა – შენიშვნა.[73]

---

[66] საია მთაწმინდის მაჟორიტარულ ოლქში პარლამენტის შუალედური არჩევნების მეორე ტურს აფასებს, საიას ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/ge/post/mtatsmindis-mazhoritarul-olqshi-i-afasebs#sthash.P0ji72VC.dpbs, განახლებულია: 12.07.2019.

[67] „ირაკლი კობახიძე - საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის მობილიზებაში კანონდარღვევას ვერ ვხედავთ“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/550580-irakli-kobaxize-saarchevno-ubnebze-amomrchevlis-mobilizebashi-kanondargvevas-ver-vxedavt/, განახლებულია: 09.06.2019.

[68] „დაპირისპირება მთაწმინდის მე-12 საარჩევნო უბანზე“, Prime Time, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=1824798634287131, განახლებულია: 09.06.2019.

[69] „#32-ე საარჩევნო უბანზე ხმაური იყო“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/550584-32-e-saarchevno-ubanze-xmauri-iqo, განახლებულია: 09.06.2019.

[70] „ელენე ხოშტარიას ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ აქტივისტი „ევროპული საქართველოს“ დამკვირვებლებს ფიზიკურად გაუსწორდა“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/550620-elene-xoshtarias-inpormaciit-kartuli-ocnebis-aktivisti-evropuli-sakartvelos-damkvirveblebs-pizikurad-gauscorda/, განახლებულია: 09.06.2019.

[71] „შსს-მ „ევროპული საქართველოს“ მიერ გავრცელებულ ვიდეოზე გამოძიება დაიწყო“, საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი“, ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/550618-shss-m-evropuli-sakartvelos-mier-gavrcelebul-videoze-gamozieba-daicqo/, განახლებულია: 09.06.2019.

[72] პირველ შემთხევაში გამოძიება დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლით (არჩევნებში [...] ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა), ხოლო მეორეში 151-ე მუხლით (მუქარა).

[73] №1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისიის 2019 წლის 11 ივნისის №24/2019 განკარგულება, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საჩივრების რეესტრი, ხელმისაწვდომია https://sachivrebi.cec.gov.ge/info.php?id=9295, განახლებულია: 11.07.2019.

5. რეკომენდაციები

2019 წლის შუალედურმა და რიგგარეშე არჩევნებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მთელი რიგი საკანონმდებლო და პრაქტიკაში არსებული ხარვეზები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს სისტემურ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებს.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება - სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა დროულად და სრულყოფილად უნდა შეისწავლოს წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების სავარაუდო დარღვევის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ამომრჩევლის მოსყიდვა - სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა და პროკურატურამ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დროულად და სრულყოფილად უნდა შეისწავლონ ამომრჩევლის სავარაუდო მოსყიდვის ფაქტები და მოახდინონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

მედია - შსს-მ და პროკურატურამ დროულად და სრულყოფილად უნდა შეისწავლონ ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტები და განახორციელონ შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება - ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ბიუჯეტი არჩევნებს არ უნდა მოარგონ. კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, რომ ნებისმიერი ტიპის არჩევნები დაინიშნოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-60 დღისა.

ამომრჩევლის ნების კონტროლი და საარჩევნო აგიტაცია - ამომრჩევლის ნების გამოვლენის კონტროლი შესაბამის საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს. პარტიებმა პატივი უნდა სცენ ამომრჩევლის ნების თავისუფლებას. ამომრჩეველთა საარჩევნო დღეს მობილიზებას არ უნდა ჰქონდეს ზეწოლის ნიშნები. იმ ადამიანების სია, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, არ უნდა იყოს საჯარო. პარტიებმა თავი უნდა შეიკავონ საარჩევნო უბნების მიმდებარედ კამპანიისგან.

კენჭისყრის პროცედურები - საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესის ჩატარების გაუმჯობესების კუთხით, მნიშვნელოვანია კენჭისყრის პროცედურების გამარტივება, ასევე, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა უბნებზე, მათ შორის, ხმის დათვლა ელექტრონული წესით.

უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათთვის საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების უნარების განმტკიცება. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსების გაუმჯობესების მიზნით, შემოღებული უნდა იყოს ოქმების შევსების ერთგვაროვანი წესი, რასაც სავალდებულო ხასიათი ექნება. შესწორების ოქმი უნდა დგებოდეს მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო დოკუმენტაციის გახსნისა და შესწავლის საფუძველზე, კენჭისყრის დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის შესაბამისი წევრების მონაწილეობით.

საარჩევნო დავები საარჩევნო ადმინისტრაციაში - საარჩევნო კომისიის წევრებმა ადმინისტრაციული წარმოება კანონის მოთხოვნების შესაბამისად უნდა განახორციელონ. საჩივარში ასახული დარღვევები დეტალურად უნდა შეისწავლონ, მტკიცებულებები ჯეროვნად გამოიკვლიონ და მიღებული გადაწყვეტილებები დაასაბუთონ. პასუხისმგებლობის ზომების გამოყენებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს დარღვევის სიმძიმე.